სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 ნოემბერი, 2024 წ.

ბრძანება N 01-08/920

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ტბელ აბუსელიძის
სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების, ,,2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შოთა რუსთაველისა და ტბელ აბუსერიძის სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 23 ოქტომბრის №01-02/182 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის, პროფესორ მერაბ ხალვაშის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ'' ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 11 ნოემბრის №01-14/624 ბრძანების, ,,2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სახელობითი სტიპენდიანტების გამოვლენის მიზნით ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 ნოემბრის №01-02/185 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის 2024 წლის 07-08 ნოემბრის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებისა (ოქმი №1-2) და ამავე კომისიის თავმჯდომარის, რექტორის მოადგილის 2024 წლის 11 ნოემბრის №1448827 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში **ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდია, თვეში 500 ლარის ოდენობით, დაენიშნოს** 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცეს ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) **ბსუ-ს 4 სტუდენტზე, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.**

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება (პერსონალური მონაცემების დაცვით) თითოეული ფაკულტეტის მიერ დაეგზავნოს შესაბამის სტიპენდიანტ სტუდენტს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ანზორ ბერიძე

,,2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2024 წლის 13 ნოემბრის N01-08/920 ბრძანების

N1 დანართი

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში **ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდია, თვეში 500 ლარის ოდენობით, დაენიშნა** 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცემა ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით)
ბსუ-ს შემდეგ სტუდენტებზე:

	სტუდენტის სახლი, გვარი	პირადი ნომერი	ფაკულტეტი	საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების წელი
1	ლალი ცინარიძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების	კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
2	მარიკა ბოლქვაძე		ტურიზმის	ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
3	ნიკო ლეონიძე		ეკონომიკისა და ბიზნესის	ფინანსები და საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის
4	მარიამ აბესაძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი